**დღეს ნომერში:**

შარშან ბენტ ლარსენი. წლეულს? — 1-ლი გვ.

სპორტული სარბიელის რაინდები — მე-2 გვ.

ფეხბურთის რადიო და ტელეკომენტატორებზე, მსაჯებზე... — მე-3 გვ.

6-6 ქულით — სსრ კავშირისა და საქართველოს ხელბურთელები — მე-4 გვ.


ეროვნული ბიბლიოთეკა


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 241 (3725)

1968 წ. 11 დეკემბერი. ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.


## სასახელო მაჩვენებლები

გუშინ „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ა. კორინთელმა რედაქციას ტელეფონით აცნობა, რომ ამ საზოგადოების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წლეულს განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის: ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდეს გეგმები და თვითვალდებულებანი.

სპარტაკელებს გეგმით 1 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 23 სპორტის ოსტატი, 220 პირველთანრიგოსანი უნდა მოემზადებინათ. სინამდვილეში სადღეისოდ მათ მოამზადეს 1 საერთაშორისო კლასის ოსტატი, 26 სპორტის ოსტატი, 35 ოსტატობის კანდიდატი და 360 პირველთანრიგოსანი.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს უფრო დაბალი თანრიგების სპორტსმენების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების საქმეშიც. 2058 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად უკვე მომზადდა 2638, 9734 მესამეთანრიგოსნის მაგიერ კი 12631. მოზარდთა თანრიგის ნორმატივი შეასრულა სპორტული და საშეფო სკოლების 3169 ფიზკულტურელმა, რაც გეგმას 1169 კაცით აღემატება.

თვითვალდებულებით, „სპარტაკის" ორგანიზაციებში 11705 ნიშნოსანი უნდა აღზრდილიყო, — მომზადებულია 14134. ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ქუთაისის, გორის, ფოთის, თელავის, დუშეთის, ზესტაფონისა და ლაგოდეხის საბჭოებმა.

ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადება გრძელდება.

# დიდი გადაჭარბებით

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმა-ვალდებულება.

გეგმით უნდა მოგვემზადებინა 110 სპორტის ოსტატი, სინამდვილეში შესაბამისი ნორმატივი შეასრულა 126 კაცმა. 195 ფიზკულტურელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა. გეგმით გათვალისწინებული 870 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 1205. რაც შეეხება, II, III და ჭაბუკთა თანრიგების სპორტსმენთა მომზადებას, აქ სადღეისოდ უკვე შესრულებულია ხუთწლიანი (1966-70 წ. წ.) ვალდებულება.

გადაჭარბებით გავანაღდეთ ნიშნოსნების მომზადების თვითვალდებულებაც.

თანრიგოსნების მომზადება გრძელდება.

გ. რცხილაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

## უკანასკნელი საათი...

◆ **მალიორკა, 10 დეკემბერი.** აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XIII ტურში საბჭოთა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ თუმცა არ დაამთავრა პარტია ამერიკელ პ. ბენკოსთან, 10,5 ქულით მაინც ინარჩუნებს ლიდერობას. ამ ტურში, რომელიც მშვიდობისმოყვარეობით გამოირჩეოდა, მსოფლიო ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ა. პომართან (ესპანეთი), ხოლო ბ. სპასკიმ — გფრ-ის წარმომადგენელთან გ. ლემანთან. კორჩნოის კვალდაკვალ მიჰყვებიან სპასკი (10 ქულა), პეტროსიანი და ბ. ლარსენი (9-9), მაგრამ დანიელ დიდოსტატს ერთი გადადებული პარტია აქვს.

◆ **მოსკოვი, 10 დეკემბერი.** მჭახე მოსკოვურმა ყინვამ, რომელმაც „შახტიორის" კორტების ფართო სარკმლები ათასნაირად მოქარგა, ხელი ვერ შეუშალა დღეს აქ საკავშირო საჩოგბურთო ტურნირის — ზდენეკ ზიგმუნდის მემორიალის დაწყებას. ამ შეჯიბრებაში, რომელიც შაიბიანი ჰოკეის ერთ-ერთი პიონერის, კარგი ფეხბურთელისა და ბრწყინვალე ჩოგბურთელის — წყვილთა თანრიგში სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონის ხსოვნის გამოხატვის საუკეთესო საშუალებად იქცა, მონაწილეობს სხვადასხვა საზოგადოებისა და უწყების ვაჟთა 16 და ქალთა 15 გუნდი. ამ ტრადიციულ ტურნირში სამამულო ჩოგბურთის გეოგრაფია ასე ფართოდ არასდროს ყოფილა წარმოდგენილი: კორტებზე გამოვლენ 12 ქალაქის სპორტსმენები — პრაქტიკულად ჩვენი ჩოგბურთის ყველა ცენტრის წარმომადგენლები, გარდა თბილისისა. გუნდური ტურნირი ოლიმპიური სისტემით ტარდება, თვითეული მატჩი კი სამი შეხვედრისგან შედგება — ერთეულთა ორი და წყვილთა ერთი მატჩისგან. ცალკე ჩატარდება შერეულ წყვილთა ასპარეზობა. ტურნირი 15 დეკემბერს დამთავრდება. ამ დღეს გამოვლინდებიან გამარჯვებულნი და ტრადიციისამებრ დასახელებული იქნება წყვილთა თანრიგების საუკეთესო მოთამაშე.



•

როგორც წინა ნომერში ვიტყობინებოდით, სოფიაში 8 დეკემბერს დიდი ინტერესი გამოიწვია ინტერვიზიის მიერ მოწყობილმა საერთაშორისო შეჯიბრებამ მხატვრულ ტანვარჯიშში. ტურნირში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების ოსტატები. შეჯიბრება ამიერიდან ტრადიციული იქნება.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: საპატიო პრიზის პირველი მფლობელი, ბულგარელი სპორტსმენი კრასიმირა ფილიპოვა ვარჯიშის დროს.

•

## ასე ფიქრობს „უორლდ სოკერი"

ლონდონის ჟურნალმა „უორლდ სოკერმა" გამოაცხადა მსოფლიოს ნაკრების თავისი ვარიანტი 1968 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგების მიხედვით.

აი, იგი:

მეკარე ძოფი („ნაპოლი");

დაცვა — იუსუფი (იუგოსლაველი, რომელიც მაინის ფრანკფურტის „აინტრახტში" თამაშობს), პოპლუხარი („სლოვანი", ჩეხოსლოვაკია), მური („ვესტ ჰემ იუნაიტედი", ინგლისი), ფაკეტი („ინტერნაციონალე", იტალია);

ნახევარდაცვა — ბეკენბაუერი („ბაიერნი", გფრ), პიტერსი („ვესტ ჰემ იუნაიტედი", ინგლისი);

თავდასხმა — ბენე („უიპეშტ-დოჟა", უნგრეთი), მაცოლა („ინტერნაციონალე", იტალია), ჰერსტი („ვესტ ჰემ იუნაიტედი", ინგლისი), ლიუბანსკი (ზაბჟეს „გურნიკი", პოლონეთი).

## უცხოეთი სპორტი

● **ბომბეი, 9 დეკემბერი.** ინდოეთში სტუმრად მყოფმა მინსკის „დინამოს" ფეხბურთელებმა აქ მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს, ამჯერად ანგარიშით 2:1 დაამარცხეს „როვერს სელექტ ილევენი".

● **ფხენიანი, 9 დეკემბერი.** კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტურნეს ატარებენ საბჭოთა სპორტსმენები. ორი გამარჯვება მოიპოვა რუსეთის ფედერაციის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა: მან ჯერ 8 თებერვლის სახელობის არმიული გუნდი დაამარცხა (60:44), ხოლო შემდეგ ფხენიანის ახალგაზრდული ნაკრები — 98:87. დონის როსტოვის ფრენბურთელმა ვაჟებმა ჯერ „ჩხობენთან" წააგეს (0:3), შემდეგ კი ასეთივე ანგარიშით ფარ-ხმალი დააყრევინეს „მებონსანს". ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა კოლექტივი ორჯერ შეხვდა 8 თებერვლის სახელობის გუნდს და ორივეჯერ ერთნაირი ანგარიშით (0:3) დამარცხდა.

● **კატოვიცე, 9 დეკემბერი.** დონეცკის ოლქის მოკრივეთა ნაკრებმა სილეზიაში მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა. ამჯერად იგი შეხვდა კატოვიცის ოკრუგის ნაკრებს და კვლავ გაიმარჯვა. შეხვედრის ანგარიშია 6:5. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო აღნიშნავს, საბჭოთა გუნდში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სსრ კავშირის ჩემპიონმა ე. კაუფმანმა.

● **რიგა, 9 დეკემბერი.** დღეს აქ გაიმართა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი: ადგილობრივმა „რადიოტექნიკამა" კვლავ დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი — ტალინის „კალევი" — 3:0 (15:10, 15:11, 15:13).

● **კიევი, 9 დეკემბერი.** რუსულ შაშში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისთვის დამატებითი მატჩის III პარტიაში რიგელმა ი. ცინიამ დაამარცხა ლენინგრადელი ი. სპასკაია. ამრიგად, ანგარიში გახდა 2:1 ცინიას სასარგებლოდ.

● **კისლოვოდსკი, 9 დეკემბერი.** იტალიაში გამგზავრების წინ მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა რამდენიმე მატჩი გამართეს ჩრდილოეთ-კავკასიის გუნდებთან. ნალჩიკში მათ ანგარიშით 1:0 დაამარცხეს თავიანთი თანაკლუბელები, ხოლო აქ მოუგეს ადგილობრივ „ნარზანს" — 3:1.

● **ფუკუოკა, 9 დეკემბერი.** იაპონიის ამ ქალაქში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება მარათონულ რბენაში. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, ეთიოპიელი მ. ვოლდე მესამე იყო 62 მორბენალს შორის. გაიმარჯვა 27 წლის ინგლისელმა უ. ადკოქსმა—2:10.47,8. ეს სეზონის საუკეთესო შედეგია.

● **კიევი, 9 დეკემბერი.** ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ჩემპიონატის XVI ტურში მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ლიდერთა შეხვედრები, მაგრამ მოწინავეთა კვარტეტი (ვ. აგაფონოვი, ა. ანდრეიკო, ა. განტვარგი და ვ. შჩოგოლევი) შეხმატკბილებულად როდი თამაშობდა. გამონაკლისი იყო მსოფლიო ჩემპიონი ანდრეიკო, რომელმაც დაამარცხა ს. მანშინი. ზედიზედ სამი მოგების შემდეგ დამარცხდა აგაფონოვი. მას მოუგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ი. კუპერმანმა. მედლის დანარჩენმა ორმა პრეტენდენტმა — განტვარგმა და შჩოგოლევმა ყაიმს მიაღწიეს შესაბამისად ვ. კაპლანთან და ლ. სლობოდსკოისთან. ი. ბელორუსმა მოუგო ბ. გურვიჩს. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა. ფინიშამდე 3 ტურით ადრე მხოლოდ სამი მონაწილე იბრძვის დაუმარცხებლად — ანდრეიკო, განტვარგი, რომლებსაც 10-10 ქულა აქვთ და შჩოგოლევი — 9,5 ქულა. ამდენივე ქულა მოაგროვა აგაფონოვმაც.

● **ჰააგა, 9 დეკემბერი.** აქ დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 10 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა, დიდოსტატმა ლ. კავალეკმა — 7 ქულა.

● **მალიორკა, 9 დეკემბერი.** აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ორგანიზატორებმა შექმნეს ჟიური 10 ცნობილი მოჭადრაკის შემადგენლობით, რომელმაც უნდა დაასახელოს 1968 წლის № 1 მოჭადრაკე. სხვათა შორის, შარშან მალიორკის ტურნირის მონაწილეებმა წლის საუკეთესო მოჭადრაკედ დიდოსტატი ბ. ლარსენი აღიარეს.

უცხოეთი სპორტი

ანგარიშგება-არჩევნებზე

# ყურადღება გაამახვილეს

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა „სპარტაკის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს V კონფერენცია.

როგორც მომხსენებელმა — საზოგადოების თავმჯდომარემ ი. ბესთაევმა, ისე სიტყვით გამოსულებმა: მოჭიდავეთა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ლ. გასიევმა, მე-5 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ი. თიგიევმა, პურკომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა ლ. ფუხაევმა, სამედიცინო სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ქ. თიგიევმა, პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ი. კაბისოვმა, საოლქო პროფსაბჭოს ინსტრუქტორმა ე. გალავანოვამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში, რომელიც ორ წელიწადს მოიცავს, სპარტაკელთა რიგები საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამად ამ ორგანიზაციაში 58 ფიზკულტურული კოლექტივი და 4.632 კაცია გაერთიანებული. გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსნების, ნიშნოსნების, მსაჯებისა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადების გეგმები.

„სპარტაკის" წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობდნენ საოლქო, საქალაქო, რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. შარშან საოლქო სპარტაკიადაში „სპარტაკის" ნაკრებმა III ადგილი დაიკავა საერთო გუნდურ ჩათვლაში, ხოლო ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა საოლქო სპარტაკიადაში — II ადგილი. ფრენბურთელები და მოჭადრაკეები სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ.

კონფერენციაზე დაასახელეს 1-ლი, მე-2, მე-7 საშუალო სკოლები, აგრეთვე, მთელი რიგი სასწავლებლები, დაწესებულებები, სადაც ფიზკულტურის კოლექტივები ნაყოფიერად მუშაობენ.

შეკრებილთ ყურადღება გაამახვილეს ნაკლოვანებათა მხილებაზე. აღინიშნა, რომ სპორტული ბაზების უქონლობის გამო ძნელდება შეჯიბრებების ჩატარება. სუსტად არის დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა №№ 1, 2 და 3 ავტოსატრანსპორტო კონტორებში, ლუდისა და ავტოსარემონტო ქარხნებში, სტამბაში.

თვითდინებაზეა მიშვებული მუშაობა რაიონებში, სადაც ფიზკულტურელებს არა აქვთ სპორტული ფორმა, არ წარმოებს დოკუმენტაცია, ყურადღება არ ექცევა საწევრო ანარიცხების შეგროვებას.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, აირჩია საზოგადოებისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი.

„სპარტაკის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ი. ბესთაევი.

**ს. ციტნიაშვილი.**

ცხინვალი.

# ილაპარაკეს კარგზეც, ცუდზეც...

ცხაკაიას „განთიადის" რაისაბჭოს კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს თავმჯდომარე რ. კანკავა. მან და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს ხალიჩების კომბინატის, საქენერგოს ფიზკულტურული კოლექტივების ნაყოფიერ მუშაობაზე. კონფერენციაზე ითქვა, რომ ხალიჩების კომბინატის ხელბურთელებმა რესპუბლიკის მეორე ჯგუფის გუნდების პირველობაში გამარჯვება დაისაკუთრეს. განთიადელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სხვა სახეობებშიც. აღინიშნა, რომ რაიონმა წლეულს ვადამდე და გადაჭარბებით გაანაღდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულება.

კონფერენციაზე ისიც თქვეს, რომ საქსოფლმშენისა და აგურკრამიტის ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშაობა ჩაშლილია, უპატრონოდაა მიტოვებული აგურ-კრამიტის ქარხნის სპორტული ბაზები.

კონფერენციამ დასახა სათანადო ღონისძიება. შემდეგ მოეწყო არჩევნები. რაისაბჭოს თავმჯდომარედ კვლავ რ. კანკავა აირჩიეს.

**ა. გუგუნავა.**
**(ჩვენი კორ.).**

ცხაკაია.

# დასახეს ღონისძიებანი

გაიმართა „განთიადის" ზესტაფონის ზონის III კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ზონის საბჭოს თავმჯდომარე გ. მახათაძე. სარევიზიო კომისიის ანგარიში წარმოადგინა ამ კომისიის თავმჯდომარემ თ. ბერეკაშვილმა.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სტადიონის დირექტორმა დ. ლავთაძემ, მექანიკური ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ პ. ნებიერიძემ, ფეროშენადნობთა ქარხნის „განთიადის" საქარხნო საბჭოს თავმჯდომარემ ო. სამურაშვილმა, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ბაზაძემ, ფეროშენადნობთა ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. სალაძემ.

კონფერენციამ აირჩია „განთიადის" ზესტაფონის ზონის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი. „განთიადის" ზესტაფონის ზონის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია გ. მახათაძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — შ. გეწაძე.

კონფერენციამ მუშაობის გასაუმჯობესებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

**პ. ნებიერიძე,**
**ზესტაფონის რაიონის ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქტორი.**

## ✦ სიღნაღი

დამთავრდა რაიონის სკოლების საშემოდგომო პირველობა ფეხბურთში. ფინალში თამაშობდნენ სიღნაღისა და ბოდბის საშუალო სკოლების გუნდები. საინტერესო თამაში მოიგეს სიღნაღელებმა (მწვრთნელი უ. ნადირაძე) — 2:1. ასეთივე შეჯიბრება მოეწყო მძლეოსანთა შორის. კარგი მაჩვენებლებით გამოვიდა წნორის მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივი, რომელმაც წლეულსაც შეძლო საერთო I ადგილის დაკავება. მომდევნო ადგილებზე არიან ბოდბისხევისა და ნუკრიანის მე-2 საშუალო სკოლის მძლეოსნები.

**ა ხმალაძე.**

# ვ. ჭანტურია — კვლავ ჩემპიონი

დამთავრდა აჭარის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც 12 კაცი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი კვლავ ოსტატობის კანდიდატმა გ. ჭანტურიამ დაისაკუთრა — 8 ქულა 11-დან. II ადგილი დაიკავა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. ნეურონოვმა — 7,5. III-V ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატმა ა. ყურაშვილმა და პირველთანრიგოსნებმა თ. დგებუაძემ და ი. ენდერმა.

**დ. ფოცხიშვილი.**

ბათუმი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ყინულზე... ფოტო ა. ჯაჩიანისა.

# რეკორდები ექიმის თვალით

ოლიმპიური ბატალიების გამო ატეხილი ხმაური ჩაწყნარდა. დამთავრდა კამათი, მთავრდება დისკუსიები. დადგა ფხიზელი შეფასების, ობიექტური ანალიზის, ღრმა ფიქრისა და მხჯელობის დრო. XIX ოლიმპიადა უკან დარჩა, მაგრამ დაძაბული, ჩაკირკიტებული, შეუპოვარი მუშაობა გრძელდება. მან უნდა განსაზღვროს საბჭოთა სპორტის მომავალი. ამ საქმეში მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობენ სპორტული ექიმებიც.

აას-ის კორესპონდენტი შეხვდა სპორტული მედიცინის ფედერაციის თავმჯდომარეს ნ. გრაევსკაიას, რომელმაც მას პასუხი გასცა სპეციალისტებისა და სპორტის მოყვარულებისთვის საინტერესო საკითხებზე.

● XIX ოლიმპიადა მაღალმთიანეთის რთულ პირობებში ტარდებოდა. ამან უთუოდ გაართულა სპორტული ექიმების მუშაობა მეხიკოში. როგორ გაართვეს მათ თავი ამ ამოცანას?

— მედიცინის მუშაკთა წინაშე ძალიან რთული ამოცანა იდგა: საბჭოთა ოლიმპიელები უნდა მოგვემზადებინა ყველაზე ძნელი გამოცდისთვის, დაგვეცვა მათი ჯანმრთელობა არასასურველი კლიმატური გავლენისგან დაბალი ატმოსფერული წნევის პირობებში, ტრავმებისგან და სხვადასხვა დაავადებისგან. ვფიქრობ, საბჭოთა მედიკებმა გაართვეს თავი ამ ამოცანას.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საბჭოთა სპორტსმენი მაინც ვერ გადაურჩა ტრავმას.

ჩემი აზრით, ნ. სმაგას ბრინჯაოს მედალი ისევე დასაფასებელია, როგორც მისი პარტნიორის ვ. გოლუბნიჩის ოქროს ჯილდო. სმაგა სტარტზე სიცხიანი გამოვიდა. ექიმებმა და მწვრთნელებმა მას მხოლოდ იმ პირობით დართეს ასპარეზობის ნება, თუ არ გადაიღლებოდა და როგორც კი ცუდად იგრძნობდა თავს, მაშინვე დატოვებდა სარბიელს.

სტადიონი ტაშს უკრავდა სმაგას, როგორც ბრინჯაოს პრიზიორს. მაგრამ ბევრმა როდი იცოდა, რა დაძაბულობის ფასად ხვდა სპორტსმენს ეს მედალი.

გახსოვთ, რა მძიმე ბრძოლაში მოიპოვა ოქროს მედალი ერთადგილიანი ბაიდარით მოასპარეზე ლენინგრადელმა ლ. პინაევამ. ბევრმა მხოლოდ სტარტის შემდეგ გაიგო, რომ პინაევა სერიოზული ტრავმით ჩაება შეჯიბრებაში. რამდენიმე დღის წინ მას ბინდში მანქანა დაეჯახა. სპორტსმენი მძიმედ არ დაშავებულა, მაგრამ ფეხი ძალიან სტკიოდა. მიუხედავად ამისა, იგი სტარტზე გამოვიდა და ჯერ ნახევარფინალური შეჯიბრება მოიგო, შემდეგ ფინალური. ყველაზე დაკვირვებულმა მაყურებლებმაც კი ვერ შენიშნეს ეს ამბავი. ოქროს მედალი სპორტსმენი ქალის ნამდვილი გმირობის ჯილდო იყო. მე აღტაცებული ვარ მათი ვაჟკაცობით.

● სპორტული მიღწევები წლიდან წლამდე იზრდება. იზრდება დატვირთვაც. როგორ ეხმარება სპორტული მედიცინა მწვრთნელებსა და სპორტსმენებს ახალი რეკორდებისთვის ბრძოლაში?

— ეს ძალიან დიდი თემაა. მოვიყვან მხოლოდ ორ კონკრეტულ მაგალითს: საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ თითქმის ყოველი სპორტსმენი ღელავს. ჩნდება უძილობა, დაეჭვება საკუთარ შესაძლებლობებში, სპორტსმენს კარგი შედეგებიც კი არ უნერგავს რწმენას.

ექიმებმა დაამუშავეს ამ თავისებურ სენთან ბრძოლის მეთოდი. კერძოდ, ამ მღელვარებას შეიძლება თავი დავაღწიოთ ფსიქოთერაპიის მარტივი ხერხების დახმარებით, რაც ყოველ ადამიანს შეუძლია. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია მხოლოდ რეგულარული წვრთნის დროს.

ყველას უნახავს იური ვლასოვი ფიცარნაგზე. სტარტის წინ იგი რამდენიმე წამს მუდამ თავდახრილი იდგა და მერე იწყებდა. ანდა გაიხსენეთ ბორის შახლინი, რომელიც მაგნეზიის ყუთთან წუთით ყოვნდებოდა, ვიდრე იარაღთან მივიდოდა. შერკინების წუთებში ყოველი მათგანი ცდილობდა გულისყური მოეკრიბა, გონებიდან გამოერიცხა ყველაფერი ზედმეტი, ყურადღების გამფანტავი. ამას შეიძლება თვითდარწმუნების სპეციალური ფორმულების დახმარებით მივაღწიოთ.

ერთ-ერთი ჩემი კოლეგა, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფსიქოლოგიის ლაბორატორიის მუშაკი სპორტსმენებს ურჩევს დაღლილობას ძილით ებრძოლონ. მაგალითად, ეს მან ასწავლა ოთხ ახალგაზრდა ესტონელ მოფარიკავეს. ნაკრების უფროსი მწვრთნელი ფარიკაობაში ლ. საიჩუკი ამბობდა, რომ შეხვედრებს შორის 10-20 წუთს ძილი ძალის აღდგენის საუკეთესო საშუალებაა მოფარიკავეთა მრავალსაათიანი ტურნირის მონაწილისთვის.

საიდუმლო როდია, რომ ჩვენი ხუთჭიდელებისთვის სროლა აქილევსის ქუსლია. ა. ალექსეევმა და მწვრთნელმა ი. ანდრეევმა გადაწყვიტეს ფსიქოთერაპიის რამდენიმე სეანსი ჩაეტარებინათ. ამასთან საჭირო იყო ახალგაზრდა სპორტსმენი ისე დაემორჩილებინათ ჩაგონებისთვის, რომ ამას რამდენიმე კვირის შემდეგაც ემოქმედა მეხიკოში. ექიმი და მწვრთნელი სპორტსმენებს ურჩევდნენ: სცადეთ და ყურადღება გაამახვილეთ არა თვით სამიზნეზე, არამედ სხვა რამეზე, თუნდაც სამიზნის მდგომარეობაზეო.

რამდენიმე ხნის შემდეგ შედეგები შეადარეს. უკეთესი მაჩვენებლები იმ სპორტსმენებს აღმოაჩნდათ, რომელთაც ფსიქოთერაპია გამოიყენეს.

● დიდი სპორტი საუცხოო ლაბორატორიაა ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობათა კვლევისთვის. მაგრამ სპორტულ მედიცინას სხვა ამოცანაც აქვს — ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცება. როგორაა საქმე ამ მხრივ?

— ფიზკულტურა და სპორტი ჩვენში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების ფაქტორი. ამ მიზნით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საექიმო-ფიზკულტურული სამსახურის სისტემა. დღესდღეობით მის ორგანიზაციულ საფუძველს შეადგენს 200 დისპანსერი, საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის 3000-ზე მეტი კაბინეტი პოლიკლინიკებში, საავადმყოფოებში, სასწავლებლებსა და სპორტული ბაზების სამედიცინო-სანიტარულ ნაწილებში.

შარშან დისპანსერების მუშაკები აკვირდებოდნენ სამაემო და ახალგაზრდული სპორტული სკოლების მილიონზე მეტ აღსაზრდელს. ამასთან, საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერები უზრუნველყოფენ საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობის ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სფეროში. ამ დაწესებულებათა ექიმები დისპანსერების ხელმძღვანელობით ახორციელებენ მასობრივი ფიზკულტურის კონტროლს, ყოველწლიურად ამოწმებენ 20-25 მილიონ ფიზკულტურელსა და სპორტსმენს. ბევრი დისპანსერი დიდ მუშაობას ეწევა საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამედიცინო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

ერთი სიტყვით, ფიზკულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა სამედიცინო მომსახურების დონე წლიდან წლამდე მაღლდება. ფიზიკური კულტურა ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კლინიკაში, როგორც მძლავრი სამკურნალო მეთოდი. სწორედ ყოველივე ეს იქნება მედიკების კონკრეტული პასუხი იმ ზრუნვაზე, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ ჩვენში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის.

## ✦ თელავი

პიონერთა სახლში ჩატარდა ნორჩ მოჭადრაკეთა პირველობა, რომელშიც 11 ვაჟი და 3 გოგონა მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თ. ყურაშიძემ (მე-3 სკოლა), II ადგილზეა შ. როსტომაშვილი (მე-4 სკოლა), III — მარინე ხალიჩაშვილი (1-ლი სკოლა).

* * *

დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეთა შეჯიბრებამ კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთელ ვაჟებში გაიმარჯვეს მე-3 სკოლის სპორტსმენებმა, გოგონებში — მე-2 სკოლის გუნდმა. ფრენბურთში პირველობა არავის დაუთმეს რუსული სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა.

**გ. ელიოზიშვილი.**

* * *

„კოლმეურნემ" ჩაატარა თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა რაიონის 16 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ წინანდლის საბჭოთა მეურნეობისა და იყალთოს კოლმეურნეობის გუნდები. გამარჯვება წილად ხვდათ წინანდლელებს — 3:1.

**ს. ოხანაშვილი.**

## ✦ ონი

გაიმართა მოსწავლე-მძლეოსანთა რაიონული პირველობა. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. თასი დაისაკუთრა ონის მე-2 საშუალო სკოლის ნაკრებმა.

**დ. ხახიაშვილი.**

## ✦ ზუგდიდი

კომკავშირისა და დოსააფის რაიონულმა კომიტეტებმა ამას წინათ ჩაატარეს გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. შეჯიბრებაში რაიონის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და საშუალო სკოლების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. საერთო გუნდურ I ადგილზე გავიდა კონცხელის საკოლმეურნეო გუნდი. მოსწავლეთა შორის ყველას აჯობეს ჯიხასკარის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

**ზ. ალშიბაია.**

# გზები და პერსპექტივები

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

ფეხბურთელის სპორტული ოსტატობის შემდგომ ზრდას საფუძველი ზამთარში ეყრება. ამ პერიოდის შესაბამისად საწვრთნელ პროცესს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოთხოვნები წარედგინება და სისტემატური მეცადინეობის შეცვლა მოგზაურობა-გასეირნებებითა და მეორეხარისხოვანი მატჩების ჩატარებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. შესაბამისი საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების უქონლად ნაკრების ზოგიერთი მოთამაშე სპორტული სრულყოფის გზაზე ფერხდება და ვერ უძლებს სეზონის დაძაბულობას. მაღალი კლასის მოთამაშეები ნამდვილ სპორტულ ფორმას აღწევენ მხოლოდ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში სისტემატური მონაწილეობით და ამიტომაა, რომ თავიანთ კლუბებში გამოსვლისას გაცილებით ადრე და მაღლა აჰყავთ უმაღლესი მაჩვენებლები, ვიდრე უცხოური ტურნეს დროს ჩატარებულ უმნიშვნელო მატჩებში. ბევრ მოთამაშეს ჩვენთან საუბარში უთქვამს, რომ ნაკრების წინასასეზონო მგზავრობისას საფრანგეთის ქალაქებში ფაქტიურად არც ვარჯიში იყო, არც ორგანიზებული დასვენება (გუნდმა ათ დღეში 4 მატჩი ჩაატარა გაუთავებელი მგზავრობით). გასაკვირი არაა, რომ, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ისე წლეულსაც ნაკრების ხელმძღვანელობა იძულებული იყო კვლავ კლუბებისთვის მიემართა და ამათგან ახალი ფეხბურთელები აეყვანა სწორედ იმ მოთამაშეთა ნაცვლად, რომლებმაც დაკარგეს სპორტული ფორმა ამ უმიზნო მოგზაურობის დროს.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ წინასასეზონო პერიოდში მოგზაურობისას ნაკრებს, ფაქტიურად, თანაბარი ძალის 2 შემადგენლობა ჰყავდა. მისცე ერთნაირი სათამაშო დატვირთვა სპორტსმენთა ასეთ რაოდენობას თუნდაც მეორეხარისხოვან თამაშებში, შეუძლებელი საქმეა. ამ მიზეზით ზოგიერთმა მაღალი კლასის ფეხბურთელმა საპასუხისმგებლო შეხვედრათა დაწყებისთვის ვერ მიაღწია თავის საბრძოლო პოტენციალს. მათი გაუთავებელი ცვლა იწვევდა ზედმეტ ნერვულ დაძაბულობას. ნაკრების მოთამაშე უნებურად ხვდება ფსიქოლოგიური ხასიათის ორ უკიდურესობას შორის: იგი ან დარწმუნებულია, რომ განაღდებული აქვს ადგილი ნაკრებში და ამიტომ თავის შესაძლებლობებს არ ავლენს, ან ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი ნაკრების შემადგენლობაში და საამისოდ მთელ თავის ძალას უმნიშვნელო ხასიათის შესარჩევ თამაშებში ხარჯავს, რის შემდეგ უკვე აღარ შეუძლია სტაბილურად ითამაშოს მომდევნო შეხვედრებში. ხშირად იქმნება ყალბი შეხედულება მათზე, მათს შესაძლებლობებზე.

ნაკრების შერჩევისა და მზადების ასეთი არარაციონალური სისტემა უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო ნაკრების კლასის დონეზე, არამედ საგრძნობი ზიანიც მოაქვს უძლიერესი კლუბებისთვის.

კლუბი — ეს მხოლოდ იარლიყი არ არის, ესაა კონკრეტული სპორტსმენები. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ყოველ გუნდს ჰყავს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი და სწორედ ისინი შეადგენენ ამ კლუბის ძირითად ბირთვს, მის დამკვრელ ძალას. რაც უნდა ვიხმაუროთ რეზერვთა როლის შესახებ, კოლექტიურობის მნიშვნელობაზე, ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაშიც კი ვერ მოვძებნეთ ნამდვილი, სრულფასოვანი რეზერვი თუნდაც ერთი გუნდისთვის — ნაკრებისთვის. მაშ რატომ ვავალებთ კლუბებს ასეთი მძიმე ტვირთის აწევას?!

როცა წამყვანი მოთამაშეები დიდი ხნით მიდიან კლუბიდან, ეს უკანასკნელი მკვეთრად სუსტდება და, ფაქტიურად, უკვე სხვა კატეგორიის გუნდს წარმოადგენს. მართალია, ცალკეულ შემთხვევებში კლუბებს შეუძლიათ თავი დააღწიონ მძიმე მდგომარეობას, მაგრამ ასეთი გამონაკლისი არ შეიძლება მივიჩნიოთ საერთო წესად. როცა კლუბი კარგავს წამყვან სპორტსმენებს, იქ დარჩენილი ახალგაზრდების კლასი საგრძნობლად მუხრუჭდება, ვინაიდან სპორტული ოსტატობის დონის ზრდისთვის პარტნიორად აუცილებლად უნდა გყავდეს გამოცდილი, ექსტრაკლასის მოთამაშეები. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ნაკრებში გაწვეული ბევრი მოთამაშე თავის კლუბში ასრულებდა დისპეტჩერის, ორგანიზატორის როლს და მათი წასვლით იშლება მთელი რგოლის თამაში.

უძლიერესი გუნდები, რომლებსაც მაღალ ადგილებზე აქვთ პრეტენზიები, თავიანთი საუკეთესო მოთამაშეების გარეშე კარგავენ პერსპექტივას, რაც გარკვეულ ფსიქოლოგიურ დეპრესიას იწვევს. როცა გუნდს აღარა აქვს იმ ადგილის დაკავების იმედი, რომელიც მას რანგით ეკუთვნის, მოთამაშეებიც აღარ იბრძვიან ძალთა სრული მობილიზებით. ერთი სიტყვით, ფეხბურთელთა ხანგრძლივი გაწვევა ნაკრებში ერთობ მძიმედ ეტყობა საკლუბო ფეხბურთს და ეს მაშინ, როცა სწორედ საკლუბო ფეხბურთი წარმოადგენს საბჭოთა ფეხბურთის საფუძველს. ყველა ზემოაღნიშნულ დეფექტს თავიდან ავიცილებდით, ზუსტად და შეუცდომლად რომ მოგვეწესრიგებინა ნაკრებისა და კლუბების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები.

საჭიროა ყოველმხრივ ავამაღლოთ საკავშირო ჩემპიონატის ავტორიტეტი და სწორედ იგი უნდა წარმოადგენდეს ამოსავალ წერტილს. ეს კი ნიშნავს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ყველა კლუბი სრული შემადგენლობით უნდა მონაწილეობდეს, როგორც ეს ხდება თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი უმაღლეს განვითარებამდეა მისული. გამონაკლისს იშვიათად ვხვდებით.

ეს ნაკლოვანებები ნაკრების მზადების სისტემაში არ წარმოადგენს ცალკეულ პიროვნებათა შეცდომებს. ეს საერთო სენია. ამ არასწორი კალაპოტით მიმართავს თავის საქმიანობას ნაკრების თითქმის ყველა ხელმძღვანელი ბოლო 10 წლის მანძილზე. ამიტომ საჭიროა ნამდვილად ქმედითი ზომების მიღება, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავგმოთ ეს მცდარი მეთოდი.

საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ზოგიერთ სხვა საკითხსაც, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ჩვენი ფეხბურთის განვითარებასთან. ბოლო ხანებში სერიოზულ საყვედურს იწვევს ფეხბურთის მატჩების რადიო და ტელერეპორტაჟის ხარისხი. ბევრი დიქტორი ვერ ფარავს მიკერძოებას და არაობიექტურად გადმოსცემს თამაშის მსვლელობას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ტელემაყურებელთათვის. რასაკვირველია, დიქტორს არ შეუძლია იქცეს უსიცოცხლო მანქანად, მაგრამ იგი ვალდებულია ობიექტურობის მაქსიმუმი გამოავლინოს და პირად სიმპათია-ანტიპათიას ლაგამი ამოსდოს მატჩის გაშუქების დროს. ყოვლად დაუშვებელია, როცა დიქტორი თავის კომენტარებში უპატივცემლობას ავლენს მოწინააღმდეგე გუნდის მიმართ.

კარგია, თუ ტელემაყურებელი ხარ და თვითონვე ხედავ, რაც ხდება მინდორზე, მაგრამ როგორია რადიომსმენელთა მდგომარეობა, რომლებიც იძულებული არიან მთლიანად ენდონ კომენტატორს?!

ბოლო დროს კომენტატორები ხშირად უხვევენ გვერდს იმას, რაც მინდორზე ხდება და უმთავრესად ჰყვებიან, თუ რა საუბარი ჰქონდათ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან თამაშის დაწყებამდე. ასეთი გადახვევები სასურველი არაა, მით უმეტეს, რომ კომენტატორი ერთობა თავისი „შთაგონებებით“ და მხედველობიდან უშვებს მინდორზე შექმნილ საინტერესო, მწვავე სიტუაციებს. ყოვლად დაუშვებელია, როცა კომენტატორი ყველასთვის შიფრავს მწვრთნელთა ჩანაფიქრს, რაც მან თამაშამდე შეიტყო. არც ისაა მთლად სწორი, როცა კომენტატორი წარსულში ცნობილ ფეხბურთელს იშველიებს და ეს უკანასკნელი შეფასებას აძლევს გუნდებსა და მოთამაშეებს. სუბიექტური მოსაზრება, თუნდაც ცნობილი სპეციალისტისა, თავს არ უნდა მოვახვიოთ მილიონობით ტელემაყურებელსა და რადიომსმენელს.

რადიო და ტელეკომენტატორთა მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ზოგიერთი მათგანი, ივიწყებს რა თავის ფუნქციებს, მიუდგომელი ავტორიტეტის ტონით იწყებს კრიტიკულ შენიშვნათა გამოთქმას მწვრთნელთა და ფეხბურთელთა მიმართ. კრიტიკული შენიშვნები, რასაკვირველია, შედის კომენტატორის ფუნქციებში, მაგრამ აქ განსაკუთრებითაა საჭირო ზომიერება. ცალკეული დიქტორები მეტისმეტად აქებენ მოთამაშეებს და დაუმსახურებელ, გაბერილ ავტორიტეტს უქმნიან მათ. ასე იყო, მაგალითად, როდესაც დიქტორი ბ. ზაჟურინი მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის მსვლელობაში განუწყვეტლივ აქებდა ახალგაზრდა სპარტაკელ პაპაევს. ასეთი დითირამბები არასოდეს მოუსმენიათ ფეხბურთის ისეთ ვირტუოზებსაც კი, როგორიც იყვნენ ი. ნეტო, ა. ღოღობერიძე და ბევრი სხვა. ასეთი ქება დამწყებ ფეხბურთელს ზიანის გარდა არაფერს მოუტანს. ამავე დროს ბ. ზაჟურინმა საკუთარ თავს უფლება მისცა სულ მცირე შეცდომებისთვის შეურაცხმყოფელი შენიშვნები გამოეთქვა დამსახურებულ ფეხბურთელთა მიმართ. არაკვალიფიციური კომენტატორები ხშირად უსწოროდ აფასებენ გუნდების ტაქტიკურ ჩანაფიქრს, უცერემონიო შეფასებას აძლევენ გატანილ ბურთებს და ა. შ. ზოგიერთი მათგანი ცდილობს შორიდან გატანილი ბურთი შემთხვევითად ჩათვალოს, მაშინ, როცა შორიდან გოლის გატანის ტენდენცია ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია.

ჩვენ გვყავს კომენტატორები, რომლებმაც დაიმსახურეს ავტორიტეტი და მათი რეპორტაჟი მაღალ პროფესიულ დონეზე დგას. ასეთებს მუდამ დიდი სიამოვნებით უსმენ (ვ. ნაბუტოვი, ვ. ნესტერენკო და სხვ.). ისინი ყოველთვის ობიექტურად აწარმოებენ გადაცემას, და თუმცა გული შესტკივათ თავიანთი ქალაქების გუნდებზე, საკუთარ თავს არავითარ შემთხვევაში ნებას არ მისცემენ თუნდაც მცირედი დამახინჯება მოახდინონ თავიანთ რეპორტაჟში. რაც მთავარია, ისინი პატივისცემით ეპყრობიან მოწინააღმდეგეებს.




რამდენიმე სიტყვა მსაჯებზე. მსაჯი, უპირველეს ყოვლისა, აღმზრდელია, ჩვენში კი ამას ხშირად ივიწყებენ. რას მოვითხოვთ უმთავრესად მსაჯისგან? იყოს სამართლიანი, ობიექტური ორივე გუნდის მიმართ და მკაცრი — უხეშ მოთამაშეებთან. გაიხსენეთ, რამდენჯერ გინახავთ ტრიბუნიდან, თუ როგორ დაუფარავად, სისტემატურად უხეშობს ზოგიერთი ფეხბურთელი მინდორზე. თითქოს რა უნდა იყოს ამაზე იოლი მსაჯისთვის: დაარღვია მოთამაშემ წესი, მაშინვე გააფრთხილოს, ხოლო თუ განზრახ ჩადენილი უხეშობა და წესის დარღვევა ამ მოთამაშის მხრივ კვლავ გამეორდა, გააძევოს იგი მინდვრიდან. 2-3 თამაშის შემდეგ აკრძალული ილეთების მოყვარულები ან სულ დატოვებენ ფეხბურთს, ან ისწავლიან წესიერ თამაშს. ამასვე ვიტყოდით, როცა მოთამაშეები არ იცავენ 9-მეტრიან დისტანციას საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების დროს, ან განზრახ გადააგდებენ ხოლმე ბურთს შორს. საკმარისია რამდენიმეჯერ სამაგალითოდ, დემონსტრაციულად დაისაჯონ უხეშები და ასეთი შემთხვევები სამუდამოდ გაქრება ჩვენი მინდვრებიდან.

საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ შეახსენონ მსაჯთა საკავშირო კოლეგიას, რომ ჩვენ „ა“ კლასის პირველ ეშელონში გვყავს 2 გუნდი, II ჯგუფში — 3, „ბ“ კლასში — 12 და ათეულზე მეტი მოთამაშე სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა და მისი ორგანოების საქმიანობაში. მაგრამ ეს მუდამ ასე არ არის ხოლმე.

გაუგებარია, რატომ რჩება უყურადღებოდ ჩვენი წინადადება, რომ მსაჯები თამაშებზე დაინიშნონ კენჭისყრით? ეს წინადადება წამოვჭერით ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ და რაიმე დასაბუთებული აცილება ჯერაც არ მიგვიღია.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 238, 239.



გაზეთ „ტრუდის“ სპეციალური პრიზი საკავშირო ჩემპიონატში გატანილი ყველაზე მეტი გოლისთვის თბილისელ გ. გავაშელთან ერთად მიიღო ტაშკენტის „პახტაკორის“ თავდამსხმელმა ბ. აბდურაიმოვმა (22 ბურთი).

ს უ რ ა თ ზ ე: ბ. აბდურაიმოვი თამაშის დროს.

ფოტო ა. იაკოვლევისა (საკდესი).



ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქცია ყოველწლიურად გადასცემს სპეციალურად დაწესებულ პრიზს სეზონის საუკეთესო მეკარეს. წლეულს რედაქციამ საუკეთესოდ ხცნო მოსკოვის არმიელთა გუნდის მეკარე ი. პშენიჩნიკოვი.

ს უ რ ა თ ზ ე: ი. პშენიჩნიკოვი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## გათამაშების საბოლოო ცხრილი

### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახკ (თბილისი) | 42 | 24 | 12 | 6 | 70—29 | 60 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 42 | 23 | 12 | 7 | 74—41 | 58 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 42 | 22 | 13 | 7 | 74—35 | 57 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 42 | 18 | 18 | 6 | 53—28 | 54 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 42 | 21 | 10 | 11 | 59—36 | 52 |
| „სულორი“ (ვანი) | 42 | 20 | 8 | 14 | 54—38 | 48 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 42 | 18 | 12 | 12 | 64—57 | 48 |
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 42 | 16 | 13 | 13 | 58—49 | 45 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 42 | 15 | 12 | 15 | 47—50 | 42 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 42 | 13 | 15 | 14 | 56—43 | 41 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 42 | 15 | 11 | 16 | 38—51 | 41 |
| „აერო“ (გალი) | 42 | 12 | 15 | 15 | 41—47 | 39 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 42 | 15 | 9 | 18 | 52—64 | 39 |
| „ლაითური“ (მახარაძის რ-ნი) | 42 | 13 | 12 | 17 | 35—36 | 38 |
| „სამცხე“ (აწყური) | 42 | 13 | 11 | 18 | 49—58 | 37 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 42 | 12 | 13 | 17 | 34—45 | 37 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 42 | 14 | 8 | 20 | 41—54 | 36 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რ-ნი) | 42 | 11 | 13 | 18 | 37—56 | 35 |
| „ქართლი“ (გორის რ-ნი) | 42 | 12 | 10 | 20 | 43—60 | 34 |
| „ისანი“ (თბილისი) | 42 | 11 | 10 | 21 | 31—58 | 32 |
| „ბარეჯი“ (საგარეჯო) | 42 | 8 | 10 | 24 | 35—74 | 26 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 42 | 9 | 7 | 26 | 28—62 | 25 |

## საქართველოს ჩემპიონატი

დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება. დარჩენილი იყო სულ 2 მატჩი. თბილისის „სინათლემ“ ფრედ (2:2) ითამაშა ბორჯომის „სპარტაკთან“ და არ ჩავიდა სათამაშოდ ახალციხეში, რისთვისაც გამარჯვება ჩაეთვალა იქაურ „მესხეთს“.

## ვეტერანის პრიზი — ოჩამჩირელებს

საინტერესოდ მიმდინარეობდა აფხაზეთის ფეხბურთელთა შეჯიბრება გამოჩენილი მეკარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ მარღანიას სახელობის თასზე.

ფინალში გავიდნენ სოხუმისა და ოჩამჩირის „დინამოს“ თანაკლუბელები. გადამწყვეტი თამაში შედგა ოჩამჩირის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე. მასპინძლებმა დიდი ოსტატობით ითამაშეს და ანგარიშით 1:0 დაამარცხეს თავიანთი გამოცდილი მეტოქე. ამ ერთადერთი გოლის ავტორი იყო ოჩამჩირელთა თავდამსხმელი ტ. ხიბა.

ტურნირში დაწესებული იყო რამდენიმე პრიზი. საუკეთესო მეკარედ მიჩნეულ იქნა ოჩამჩირელი უ. ღგებუაძე, მცველად — სოხუმელი თ. ჯანჯღავა და თავდამსხმელად — ფინალური მატჩის გადამწყვეტი გოლის ავტორი ტ. ხიბა.

შეჯიბრებამ ორგანიზებულად, საინტერესოდ ჩაიარა.

გ. კოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# გამართლებული რისკი

ხელბურთელთა III საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

თბილისის სპორტის სასახლე. 9 დეკემბერი.

საქართველო — უნგრეთი 25:22 (12:9).

**საქართველო.** აბაიშვილი, ექსეულიძე (გაიტანა 1 გოლი), ფხაკაძე (5), გაზდელიანი, ცერცვაძე (6), ნედბაილო (1), სხიერელი (2). ითამაშეს, აგრეთვე, ზარდალიშვილმა (3), ბუნაძემ, კიკაბიძემ (6), ლაზარიდისმა და ჭოლოკავამ (1).

**უნგრეთი.** იოჟეფი, კლეინი (1), კალო (3), ხუნიადკურფტი (3), შიმო (2). ტაკაჩი (1), ვარგა. ითამაშეს, აგრეთვე ვაშმა (5), ი. საბომ (4) და მაროშმა (3).

მსაჯი — ი. რეგულა (პოლონეთი).

„ზარია ვოსტოკას" პრიზის ორგზის მფლობელებთან ჩვენმა ხელბურთელებმა მართლაც დიდებულად ითამაშეს: მასპინძელთა გუნდის თვითეულმა წევრმა შესაძლებლობის მაქსიმუმი ჩააქსოვა თამაშში და საპატიო გამარჯვებასაც მიაღწია.

მთელს მატჩში სამჯერ იყო საყაიმო მდგომარეობა (7:7, 8:8, 16:16), დანარჩენი დროის მანძილზე კი უპირატესობა გარდამავალი იყო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მასპინძლები სწორედ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტებში იყვნენ წინ — პირველი ტაიმის ბოლოს და თამაშის დასკვნით ნაწილში. გუნდის ვეტერანებთან (აბაიშვილი, ცერცვაძე, ფხაკაძე, ექსეულიძე) ერთად თავი ისახელეს შედარებით ნაკლებად გამოცდილმა ხელბურთელებმა. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ა. კიკაბიძე, ამჯერად მან დასძლია შიში ძლიერი მეტოქის წინაშე, გადალახა ეს ფსიქოლოგიური ზღუდე და ბრწყინვალედ ითამაშა.

რაკი ლაპარაკი გაბედულებაზე ჩამოვარდა, აქვე გვინდა შევეხოთ ერთ საკითხსაც. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის წამყვანი მწვრთნელების უმრავლესობა წლების მანძილზე ვერ ბედავდა თამაშში ახალგაზრდა, გამოუცდელი სპორტსმენების ჩაბმას. ეშინოდა ექსპერიმენტებისა, ეშინოდა ქულების დაკარგვისა.

ასეთი ტენდენციის შედეგად ბევრი იმედის მომცემი ხელბურთელიდან მხოლოდ საშუალო და, თანაც, სრულიად გამოუცდელი (უცნაურია, მაგრამ გამოუცდელები ზოგჯერ ვეტერანებიც კი არიან) მოთამაშეები შემოგვრჩნენ.

ჩვენი გუნდის ახალმა მწვრთნელმა ჯ. ბაგრატიონმა სწორედ ამ მავნე ტენდენციას გამოუცხადა ბრძოლა. მას გაბედულად შეჰყავს ნაკრების შემადგენლობაში თბილისის დინამოელები (გ. ბერიაშვილი, თ. ჭოლოკავა, ა. ლაზარიდისი, ჯ. დვალიშვილი) და თვით „ბურევესტნიკის" სათადარიგო სკამზე დიდხანს მიჯაჭვული ნიჭიერი სპორტსმენები. შეიძლება თავდაპირველად ამ ცდებმა თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღოს, მაგრამ გვჯერა, რომ გამოცდილებაცა და ოსტატობაც თანდათან მოვა.

სსრ კავშირი — პოლონეთი 19:16 (7:7).

**სსრ კავშირი.** ვილსონი, სოლომკო (1), მაქსიმოვი (2), ზელენოვი, კლიმოვი (1), შაიუკი (9), ზდორენკო (3). ითამაშეს, აგრეთვე, ცაპენკომ, ეფიმოვმა, გულბისმა (1), ჟურავლიოვმა და პანოვმა (2).

**პოლონეთი.** შიპკა, კუხტა, ლები (3), ზავადა (3), დიბოლი, ვლაზო (4), სტრუჟიკი (4). ითამაშეს, აგრეთვე, პეტროვსკიმ, ნოვაკოვსკიმ, კრიგერმა (2) და კშოუნუეკმა.

მსაჯი — ლ. მარტა (უნგრეთი).

საბჭოთა კავშირის ნაკრებს ამ შეხვედრაში დიდი გაჭირვება დაადგა: მან დიდხანს ვერააწყო თამაში. ამასობაში კი პოლონელები დაწინაურდნენ და განსაკუთრებით მეორე ტაიმის მთელი 20 წუთის მანძილზე მოედნის ბატონ-პატრონები იყვნენ — 12:8, 13:10, 14:11, 15:13...

საბჭოთა გუნდი მხოლოდ ამის შემდეგ მოეგო გონს. მან ჯერ გაათანაბრა ანგარიში (15:15), ხოლო შემდეგ დაწინაურებაც შეძლო. ამას თვით პოლონელებმა შეუწყვეს ხელი: მათ ხელსაყრელ, საგოლე ვითარებაში ჩეტოქეებს რამდენჯერმე ჩააბარეს ბურთი და საკუთარ კარშიც რამდენიმე გოლი მიიღეს: მატჩმა ცხადყო, რომ სსრ კავშირის ნაკრები ჯერ კიდევ შორსაა სათანადო ფორმისგან.

გდრ — ბულგარეთი 20:10 (8:4).

**გდრ.** ფიშერი, როუზე (6), ცაიტლერი, მაისნერი, ი. ჰილდენბრანტი (1), მიულერი (2), ჰ. ჰილდენბრანტი (3). ითამაშეს, აგრეთვე, კრაცერმა (5), კერდტშერმა (1), როსტმა (1) და რუდოლფმა (1).

**ბულგარეთი.** კრისტანოვი, ლიპოშლიევი (1), გ. ანგელოვი (2), ალექსანდროვი (2), პანჩევი, იორდანოვი (1), ა. ანგელოვი (2). ითამაშეს, აგრეთვე, ხრისტოვმა, შტერევმა (2) და ნიკოლოვმა.

მსაჯი — ლ. ბოკუჩავა (სსრ კავშირი).

ჩვენ ადრეც შევნიშნეთ, რომ ბულგარელები უხეშად თამაშობენ და მხოლოდ ამ გზით სურთ წარმატებას მიაღწიონ. გერმანელებთან შეხვედრაში ბულგარელების უხეშობა უკიდურესობამდე მივიდა. მსაჯი იძულებული გახდა თითქმის ერთდროულად გაეძევებინა მოედნიდან 3 ბულგარელი სპორტსმენი. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მოედანზე გამუდმებით ექიმი ტრიალებდა.

* * *

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ, დღეს და ხვალ გაიმართება ბოლო შეხვედრები. უთუოდ დიდ ინტერესს გამოიწვევს ჯერ დაუმარცხებელი ლიდერების — სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრა.

ჯ. ენუქიძე.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 71—52 | 6 |
| საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | 67—56 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 61—50 | 4 |
| გდრ | 3 | 1 | 0 | 2 | 62—63 | 2 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 55—67 | 0 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 36—64 | 0 |



სურათზე: პოლონელთა მეკარე ა. შიპკა სსრ კავშირის ნაკრებთან შეხვედრის დროს.

ფოტო ა. საკოვისა.

# მექსიკაში გაიმარჯვა ომსკელმა

**მეხიკო, 10 დეკემბერი.** მექსიკის პრესა ფართოდ აშუქებს ამ ქვეყნის XV საერთაშორისო ტრადიციულ მრავალდღიან ველორბოლას. გაზეთები ხოტბასასხამენ ომსკელ ველოსიპედისტს ვ. სოკოლოვს, რომელმაც 15 ეტაპიდან რვაში შეძლო ლიდერობის შენარჩუნება. განსაკუთრებით აღნიშნავენ სოკოლოვის წარმატებას ველორბოლის ბოლო, მთიან მონაკვეთზე, სადაც მექსიკელი ველოსიპედისტები გამარჯვების იმედით იყვნენ აღსავსენი. ფინიშამდე 20 კილომეტრი რომ იყო დარჩენილი, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონს მოუხდა ორივე ბორბლის გამოცვლა და მხოლოდ ძალის უკიდურესი დაძაბვის შედეგად შეინარჩუნა მცირე უპირატესობა: მისმა მუდმივმა მდევარმა, მექსიკელმა ხ. სარაბიამ ვერა და ვერ გააბათილა ის 4 წუთი.

1970-კილომეტრიან ტრასაზე სოკოლოვის დრო: 49:58.18. სარაბია მას 2 წუთითა და 24 წამით ჩამორჩა.

— ჩემი გამარჯვება — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სოკოლოვმა, — შეუძლებელი იქნებოდა თანაგუნდელი მეგობრების ა. ზახაროვის, ი. პოლუპანოვისა და ი. ალისეპის დაუხმარებლად. მათ ყველაფერი იღონეს, რათა გამარჯვებული გამოვსულიყავი.

გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ველოსიპედისტებმა III ადგილი დაიკავეს: წინ გაუშვეს მექსიკური გუნდები „პეპსი" და „იტოლა".

[illegible]



წუთისვენება.

ნახ. ა. ერაძისა.

# უპასუხებს ტ. პეტროსიანი

ესპანეთში, მალიორკას საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ გამგზავრების წინ მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი შეხვდა მოსკოვის უნივერსიტეტის მოჭადრაკეებს. სტუდენტებმა ბევრი შეკითხვა მისცეს დიდოსტატს. მათგან ზოგიერთი ალბათ „ლელოს" მკითხველებისთვისაც არ იქნება უინტერესო.

● **რა მიზანს ისახავთ მალიორკას ტურნირში მონაწილეობით?**

— კიდევ ერთხელ მსურს შევამოწმო საკუთარი ძალა, დავუკვირდე სხვა დიდოსტატებსაც. სახელდობრ, ბორის სპასკის.

● **ფიშერი თუ ითამაშებს ამ ტურნირში?**

— მოწვეულთა სიაში იგი არ არის. სხვათა შორის, ფიშერის უცნაური ქცევა დიდხანს შემთხვევით ამბად მიმაჩნდა. მაგრამ ოლიმპიადაზე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მისი „უცნაურობანი" გარკვეულ მიზანს ისახავენ (ფიშერმა პირველ დღესვე მიატოვა ოლიმპიადა. — **რედ.**). საქმე ისაა, რომ დასავლეთში მას დაუმარცხებლის სახელი შეუქმნეს. თუ დიდთასთან საუკეთესო საბჭოთა დიდოსტატებს შეხვდება და წააგებს, ფიშერის ავტორიტეტი შეილახება. მაშასადამე, მისთვის არ არის ხელსაყრელი მსოფლიოს ჭეშმარიტად უძლიერეს მოჭადრაკეებთან თამაში. არა, ფიშერი შემთხვევით როდი ტეხს აყალმაყალს...

● **შედგება თუ არა თქვენი მატჩი დ. ბრონშტეინთან მოსკოვის ჩემპიონის სახელისთვის?**

— მე და ბრონშტეინმა ასეთი მატჩის თაობაზე ჯერ კიდევ 10 წლის წინ დავიწყეთ მოლაპარაკება. მასთან თამაში მაინტერესებდა, მაგრამ მუდამ ჩნდებოდა რაღაც დაბრკოლება (ოღონდ არა ჩემი მხრიდან). მოსკოვის ბოლო პირველობის დებულებაში აღნიშნულია, რომ ტურნირში I ადგილის გაყოფის შემთხვევაში გამარჯვებულები ჩემპიონის სახელისთვის 4 პარტიისგან შემდგარ მატჩს გაითამაშებენ. ეს ერთგვარად შეესაბამებოდა მსოფლიო პირველობაზე მატჩებისთვის მზადების ჩემს გეგმებს. მაგრამ ტურნირის შემდეგ გაზეთში წავიკითხე ბრონშტეინის განცხადება. იგი წერდა, რომ დასკვნით ტურში განგებ დაამთავრა შეხვედრა ყაიმით, რათა მსოფლიო ჩემპიონთან ეთამაშა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს უტაქტობაა საერთაშორისო ოსტატ ა. ხასინის მიმართ, რომელსაც იგი დასკვნით ტურში ეთამაშა. თურმე, ბრონშტეინს თავისუფლად შეეძლო მოეგო და ჩემთვის გაესწრო! საქმე ისაა, რომ სხვა დიდოსტატები საჭადრაკო ოლიმპისკენ „სისხლითა და ოფლით" მიიწევენ. არ იციან შემოვლითი გზა — დედაქალაქის ჩემპიონატი. და მაინც მე მზად ვიყავი მეთამაშა დაწესებული 4 პარტია. მაგრამ ბრონშტეინმა 12 პარტიის თამაში შემომთავაზა. ეს კი უკვე მართლაც შემოვლითი გზაა. ამიტომ საერთოდ უარი ვთქვი მატჩის თამაშზე. ახლა მე სხვა მატჩისთვის — სპასკისთან ორთაბრძოლისთვის მზადებას უნდა შევუდგე.

● **რას გვეტყვით იმაზე, რომ თქვენს გამოსვლებს ტურნირებში არ შეიძლება ვუწოდოთ ბრწყინვალე, მსოფლიო ჩემპიონისთვის შესაფერი თამაში.**

— თამაში ტურნირში, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ძალის მოჭადრაკეთა შორის, მსოფლიოს პირველობაზე მატჩი როდია. ადრე, როცა მსოფლიო ჩემპიონი არ ვიყავი, ტურნირში მშვიდად ვთამაშობდი. უბრალოდ, ჩემი სიამოვნებისთვის ვთამაშობდი ჭადრაკს. ახლა კი ჩემთან — მსოფლიო ჩემპიონთან — ბევრი აშკარად ვაიმზე თამაშობს.

● **რას იტყვით ფეხბურთის სეზონის შედეგებზე?**

— კიეველები სამჯერ დამსახურებულად გახდნენ ჩემპიონები. ვფიქრობ, ისინი კიდევ ზედიზედ სამ წელიწადს შეინარჩუნებენ ამ წოდებას. მე სულ ამას მსაყვედურობენ, ტურნირებში II ადგილზე რატომ გადიხარო, მაგრამ ეს II ადგილი არც ისე ცუდია. „სპარტაკის" მეორე ადგილი მისი მაღალი კლასის მოწმობაა.

# მსოფლიოს საფეხბურთო მინდვრებზე

**ტეგუსიგალპა, 9 დეკემბერი.** გონდურასის დედაქალაქში გაიმართა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე შესარჩევი მატჩი XIII ჯგუფში (ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკა). გონდურასის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა იამაიკის გუნდი და ახლა ჯგუფის ლიდერის — კოსტა-რიკის ფეხბურთელების მსგავსად 4 ქულა აქვს.

**ლუქსემბურგი, 9 დეკემბერი.** ბელგიისა და ლუქსემბურგის ამხანაგური მატჩი სტუმრების სასარგებლოდ დამთავრდა — 1:0 (0:0). 68-ე წუთზე ბურთი გაიტანა ლამბერტმა.

**ბოგოტა, 9 დეკემბერი.** პოლონეთის ნაკრებმა თავისი კოლუმბიური ტურნეს მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „მილიონარიოსი".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტული აფიშა

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. **11-12 დეკემბერი.** III საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. მონაწილეობენ: ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდები. დასაწყისი: 11-ში — 18 ს., 12-ში — 17 ს.

**მაგიდის ჩოგბურთი.** სპორტის სასახლე. **14-15 დეკემბერი.** საერთაშორისო შეხვედრა. საქართველო (ნაკრები) — ირანი (ნაკრები). დასაწყისი: 14 დეკემბერს — 19 ს., 15-ში — 12 ს.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. **15-16 დეკემბერი.** სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ა" კლასი. ვაჟთა გუნდები. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ვეფ (რიგა). დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 5 უე 04353